თასი 1936

თბილისი _ ბაქო

3 აგვისტოს დინამოს სტადიონზე ჩატარდა შეჯიბრი ბაქოს “მშენებელთა” და ტფილისის “დინამოს” გუნდებს შორის.

შეჯიბრი მეტად საინტერესო იყო და დიდძალმა მაყურებელმაც მოიყარა თავი სტადიონზე.

თამაში დაიწყო დინამოელების მძლავრი შეტევით, სტუმრები ღირსეულად შეხვდნენ და შეტევითვე უპასუხეს. თამაშმა მეტად დაძაბული ხასიათი მიიღო. ბურთი ხელიდან ხელში გადადის. ხშირია ორივე ჭიშკართან საბედისწერო მომენტები, მაგრამ მეკარეების კარგი თამაშით ყოველივე ცდა უშედეგოდ რჩება.

სტუმრები აცხოველებენ შეტევას და შედეგსაც აღწევს _ პირველი ბურთი ეხვევა ტფილისელების ბადეში. ასეთმა მოულოდნელმა დამარცხებამ დინამოელები კარგა ხანს არივდარია, რითაც ბაქოელებს საშუალება მიეცათ ინიციატივის ხელში ჩაგდებისა, რის შედეგადაც ბურთი ერთობ დინამოს კარებთან ტრიალებდა.

თამაშის პირველი განყოფილების დამთავრების რამდენიმე წუთით ადრე ტფილისელები ანგარიშს ისწორებენ.

თამაშის მეორე განყოფილება კვლავ დინამოელების შეტევით დაიწყო და ბოლომდის არ გაუშვიათ ხელიდან ინიციატივა _ შედეგად ანგარიში კიდევ ერთით გაზარდეს.

თამაშის დამთავრების რამდენიმე წუთით ადრე ბაქოელები ანგარიშს ასწორებენ. ანგარიშია 2:2.

ვინაიდან შეჯიბრი კალენდარული იყო, თამაში გაგრძელდა კიდევ ნახევარ საათს.

სურათი შეიცვალა. ტფილისელებმა გასაქანი აღარ მისცეს ბაქოელებს და საბოლოოდ გამარჯვებულნი გამოვიდენ შეჯიბრიდან.

თამაში დამთავრდა 3:2 “დინამოს” სასარგებლოდ.

შ. ბ.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 5 აგვისტო, 1936 წ.